რედაქცია

სიმინსონოვის ქუჩაზედ, ნაზაროვის სახლში, პირველ კლასიკურ გიმნაზიის უკან.

ხელის-მოწერა, მიიღება თბილისში «დროების» რედაქციაში, ქუთაისში, ჭილაძეების წიგნის მაღაზიაში. გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Въ Тифлисъ, въ редакцію «Дроэба»

«დროების» ფასი

მთელის წლისა . . . 9 მან. სამის თვისა . . 3 მან.

ექვსის თვისა . . . . 5 მან. ერთის თვისა. . . 1 მან.


# დროება


გამოდის ყოველ დღე ორშაბათს გარდა.

ფასი განცხადებისა

სტრიქონზე რვა კაპ. განცხადებს მიიღებს ქართულს რუსულს და სხვა ენებზედ.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს. დაუბეჭდველ წერილებს რედაქცია ვერ დაუბრუნებს ავტორს.

ცალკე ნომერი «დროებისა» ღირს 5 კაპეიკი


არწრუნის თეატრი.

დღეს, 2 ნოემბერს

ბენეფისი

## ვ. შ. მელიქიშვილისა

ქართული დრამატიული დასისაგან წარმოდგენილი იქნება

პირველად

## კრეჩინსკის ქორწილი

კომედია, 3 მოქმედებ. რუსულიდამ გადმოთარგმნ. ა. ს. ღულაძისაგან.

დასაწყისი 8 საათზედ. (1—1)

---

# ტელეგრამები

(«ჩრდილოეთის სააგენტოსი».)

30 ოქტომბერს.

პეტერბურგი. დღეს მწერალი დოსტოევსკის შობის დღეობა იყო და მის საფლავზე, ალექსანდრეს ლავრაში, აკურთხეს ძეგლი; ბევრი ხალხი დაესწრო; პროფესორმა ორესტ მილლერმა ძეგლთან სიტყვა წარმოსთქვა.

ვენა. ოფიციოზური გაზეთი «ფრემდე ნბლატ» აცხადებს, რომ ავსტრო-ვენგრია რუსეთთან მშვიდობიანად არისო, ამტკიცებს, რომ ავსტრო-ვენგრია სერბიის და ბულგარიის საქმეებში არ ერევა და იმედი აქვს—გულწრფელი სურვილი მშვიდობიანობისა, რომელიც ესრედ საჭიროა ორივე ხალხისთვის, უფრო მტკიცედ შეიქმნება მათი მეგობრული განწყობილობით ყოველი-კერძო საქმის გარდაწყვეტის დროს.

ვენა. ბალაბანოვმა «ნეიე ფრეიე პრესსე»-ს თანამშრომელთან ლაპარაკში გამოსთქვა, რომ იგი კმაყოფილია პეტერბურგში წასვლით, სადაც იმპერატორის და გარეშე საქმეთა მინისტრის სიტყვებიდამ დარწმუნდა, რომ რუსეთის მმართებლობის წრეებში სურთ წარმართება ბულგარიის საქმეებისა, მართვა საკუთარის ძალით და თუმცა შიშობენ, ტირნოვის წესდება მეტის-მეტად ფართო არ გამოდგესო, მაგრამ თუ ბულგარელები კეთილ-გონიერად მოიხმარებენ, რუსეთის მმართებლობისთვის სასიამოვნოც იქნება ამ წესდების აღდგენა; საქმე შესახებ ჯარისა თუმცა ძნელია, მაგრამ ამაშიაც მორიგდებიან, რადგანაც ორივე მხარე თანახმანი არიან, რომ სამხედრო მინისტრი რუსი იყოს. ბალაბანოვი დიდს სარგებლობას მოელის მთავრის ფლიგელ-ადიუტანტ კაულბარსთან პირდაპირ მოლაპარაკებისგან. ვენაშიაც ისეთივე აზრისანი არიან ბულგარიის საქმეებზე, როგორც პეტერბურგში; აქაც აღიარებენ, რომ ბულგარია მადლობელი უნდა იყოს რუსეთისა.

31 ოქტომბერს.

ბერლინი. გუშინ საღამოზე მოვიდა აქ დიდი მთავარი ვლადიმირ ალექსანდრეს-ძე თავის მეუღლით; სტანციაზე მიეგებნენ მას გერმანიის მემკვიდრე პრინცი და რუსეთის ელჩობა; მათი იმპერატორებითი უდიდესობანი დადგნენ რუსეთის საელჩო სახლში, სადაც იმპერატორმა ნახა იგინი.

სოფია. ფლიგელ ადიუტანტი კაულბარსი გუშინ ინახულა მთავარმა და ოთხი საათი ესაუბრა.

ოფიციალური გაზეთი იუწყება, რომ სერბიაში აჯანყება ძლიერდება; ალექსინაცის და კნიაჟევაცის ოლქები აჯანყდენ; კნიაჟევაცში აჯანყებულებმა ბატარეია დაიპყრეს; ზაიჩარში სამოქალაქო და სამხედრო მთავრობანი დაატუსაღეს; ბულგარიაში გადასული აჯანყებულები მიღებულ-იქმნენ ბულგარიის კანონთა მფარველობის ქვეშ; გაჭირვებულთ სასმელ-საჭმელი ეძლევათ.

პეტერბურგი. გარეშე საქმეთა მინისტრი წავიდა საზღვარ-გარეთ განსაკუთრებით თავის შინაური საქმეებისა გამო; სამინისტროს დროებით განაგებს მინისტრის ამხანაგი ვლანგალი.

მოგილევ-პოდოლსკი. ბესარაბიის სასმელების ვაჭარნი ჰფიქრობენ 1884 წელს გამართონ ბესარაბიაში ადგილობრივი ღვინის გამოფენა.

რიგა. ლიფლიანდიის აზნაურობამ გარდასწყვიტა: სთხოვოს მმართებლობას, რომ მან ნება დართოს ფულის მოგროვებისა ლიუტერის ძეგლის ასაშენებლად.

ლონდონი. მარკიზ ძენგმა უთხრა «სტანდარ»-ის კორესპონდენტს, რომ ჩინეთმა საფრანგეთთან მოლაპარაკება შესწყვიტა, ვიდრემდის საფრანგეთი პასუხს მისცემდეს ჩინეთის უკანასკნელს ნოტაზეო; ძენგს ომი შესაძლებლად მიაჩნია, თუ ფრანცუზები ბაკს თავს დაესხმიან.

---

ახლო მეზობლების აზრი ჩვენზედ

თბილისი, 1 ნოემბერი.

ბევრს ჩვენს მკითხველს ეხსომება ერთის პედაგოგის აზრი ქართველებზედ: «ქართველებს ისეთი თავის მოყვანილობა აქვთ, რომ მეცნიერების შეძენა არ შეუძლიანთო.» ბევრმა წყალმა ჩაირა მას აქეთ, რაც ეს შესანიშნავი აზრი წარმოითქვა; მისმა წარმომთქმელმა საბრალოდ დაასრულა კიდეც თავის სიცოცხლის დღენი და, მაგრამ, როგორც ეტყობა ვანსვენებულს პედაგოგს უმემკვიდროდ არ გადაუვლია და ჩვენს დროშიაც გამოჩენილა იმისთანა შინ გამოჩეკილი მეცნიერი, რომელსაც არა ნაკლებ საფუძვლიანი აზრი წარმოუთქვამს კიდევ ჩვენზედ, ბედკრულ ქართველებზედ. ეს გახლავთ პეტერბურგის უნივერსიტეტის პროფესორი, მეცნიერი ვრედენი, რომელიც სტუდენტებს პოლიტიკურ ეკონომიას უკითხავს. იმას უბძანებია კათედრიდამ: «ქართველები გონება-ჩლუნგები არიან: ხელოსნობისათვის, მრეწველობისათვის არ გამოდგებიანო; ხვნა და თესვაც კი არ იცოდენ, ვიდრე ნემეცების კოლონისტებმა არ ასწავლესო».

არ ვიცით, რა განზრახვით გადმოსწვდომია ღრმად მეცნიერებაში გაწვრთნილი პროფესორი ქართველებს, ან ამით რის დამტკიცება უნდოდა: იქნება მეცნიერებით გატაცებულმა იმისთანა ხალხის დასახელება მოიწადინა მაგალითისათვის, რომელიც ხვნათესვას არ მისდევს, და უცებ რომ ვერავინ მოიგონა, ქართველებს გადმოხედა წყალობის თვალით; იქნება ამ დროს კიდეც ჰფიქრობდა, თუნდა შემცდეს რა ვუყოთ, კრიჭაში ვინ მომწვდება, სად პეტერბურგი და სად ქართველებიო; თუნდ ვიცრუო, ეს სიცრუე დედის რძესავით შემერგებაო.

ჩვენ არ დავასახელებდით ხსენებულ პროფესორს და მის უაზროდ წამოსროლილ სიტყვას,—ვინც სად რა წამოროშოს, ჩვენ რად უნდა ავიტკიოთ თავი—რომ ეს გარემოება ჩვენის ვინაობის აღდგენისათვის საჭირო არ იყოს. ჩვენთვის სირცხვილია,—პოლიტიკური ეკონომიის პროფესორმა რუსეთში არ იცოდეს, რომ ქართველები ძველთაგან ძველის დროიდამ ხვნა-თესვას მისდევდენ და ისე მუყაითად მისდევდენ, რომ საქართველომ თვით სახელი მიწიდგან ამით დაირქვა. ჩვენთვის სირცხვილია არ იცოდეს, რომ თუ ჩვენში ხელოსნობა და მრეწველობა არა ჰყვავის, ამას ის მიზეზი აქვს, რომ მათ ასაყვავებლად არ გვეცალა მაშინ, როცა ცალ ხელში ბარი გვეჭირა და მეორეში თოფი; რასაკვირველია ამ სირცხვილმა ცოტა პეტერბურგელი პროფესორიც უნდა წამოაწითლოს, მაგრამ უდიდესი ბრალი ჩვენა გვდევს. სხვაგან ყველანი ცდილობენ, რომ თავიანთი თავი მთელს ევროპას გააცნონ, სწერენ თავიანთ ვინაობაზედ და ყოფა-ცხოვრებაზედ ევროპიულ ჟურნალ-გაზეთებში, თვით პატარა 25 ათასი სულით დასახლებული ჩერნოგორიაც კი ევროპის სახელმწიფოთა შორის ჰხადის თავს და ჩვენ კი გულ-ხელ დაკრეფილნი მთქნარებითა და ზლაზვნით შევცქერით ქამთა ტრიალს და ასე გვგონია შემწვარი ხოხბები მზა-მზარეულად პირში ჩაგვიცვივდებაო.

იგივე კორესპონდენტი, რომელიც ვრედენის წარმოთქმულს სიტყვებს გვაცნობებს, შემდეგს საყურადღებო ამბავს მოგვითხრობს კიდევ: მე მივდიოდი ერთ რუსთან ერთად დარიალის ვიწროებში და ჩემმა თანამოგზაურმა მკითხა,—ამ კოშკებზედ და ძველ ნანგრევებზედ თქვენში ისტორიული ცნობები არა მოიძევება-რაო. მე თამარ მეფე დავუსახელე, მაგრამ ამ სახელის ხსენებაზედ ჩემმა მობაასემ შემომღრიჯა და დაცინვით მითხრა: ნუ თუ გგონიათ, რომ თამარ მეფე ქვეყანაზედ არსებობდაო, ეგ ისეთივე მითია, როგორც ბერძნების მითები და ცრუ მორწმუნე ხალხს ხორც-შესხმული ადამიანი ჰგონიაო; ეგ აზრი ისეთივე უმეცარი აზრია, როგორც ის, ვითომც დედა-მიწა ოთხს ვეშაპზედ იდგესო; თქვენ ლეგენდა და ისტორია ერთმანერთში ვერ გაგირჩევიათო.

ამ სიტყვების წარმომთქმელიც უბრალო ვინმე ნუ გგონიათ, ესეც რუსეთის ლიტერატორთაგანი ყოფილა, დიდის გაზეთის «მოსკოვის უწყებების» თანამშრომელი!

---

## შინაური ქრონიკა

ამ დღეებში გუბერნიის მარშალი და რამდენიმე წევრი თავად-აზნაურობისა მივიდნენ სახელმწიფო ქონებათა მინისტრთან და წარუდგინეს მოხსენება იმ საგნებზედ, რომელნიც ჩვენს გაზეთში იყვნენ ამას წინად ჩამოთვლილნი. მინისტრმა კარგად მიიღო დეპუტაცია და დაჰპირდა, რომ ვეცდები უოველივე თქვენი სურვილი შევასრულოო. სხვათა შორის ამ მოხსენებაში იყო ერთი მუხლი, რომელიც სახელმწიფო აგენტების უკანონო მოქმედებას და კერძო პირებთან უსაფუძვლოდ დავას ატეხას შეეხებოდა. მინისტრს ეს ამბავი ძლიერ სწყენოდა და უთქვა კიდეც, რომ მაგვარი რამ ჩემთვის პირველი გაგონება არისო.

ფოთში ცეცხლის გაჩენის თაობაზედ გვწერენ კიდევ, —ქარი უბედურება არ დაემართებოდა ფოთს, რომ ქარი არა ყოფილიყო; ჩვენ ქარი თურმე ისეთი ძლიერი იყო, რომ ერთი სახლიდგან ნაპერწკლები და ცეცხლი მეათე სახლზე გადაჰქონდა. დამწვარი შენობები ერთიც არა ყოფილა საზღვევლად შეტანილი. მათმა პატრონებმა არამცთუ ავეჯეულობას ვერა უშველეს რა. ცოლშვილიც რის ყოფით და ამბით გამოიყვანეს თურმე. იწერებიან რომ ერთი კაცი კიდეც დამწვარა.

ამას წინად იყო ჩვენს გაზეთში მოხსენებული, რომ ს. წყავს, რომელშიაც კარგა ბლომად სცხოვრობს ხალხი, სასაფლაო შიგ შუაგულ სოფელში აქვს და მღვდელი არა ცდილობს თავის მრევლს ჩააგონოს, რომ ეს სასაფლაო სოფელ გარეთ გაიტანოსო. ამ სოფლის მღვდელმა გაზეთშივე თავი გაიმართლა; ბევრი ვაგონე ხალხს, მაგრამ არა ჰქნესო. ესლა კორესპონდენტი გვწერს და ჩვენც გვჯერა ეს, რომ თუ რიგიანად ჩააგონებინა მღვდელს, უარზედ არავინ დადგებოდაო, რადგან ეხლანდელი მდგომარეობა სოფლისა ყოვლად აუტანელია: სახლების სამირკვლები შიგ სასაფლაოშია ჩაყრილიო.

საქიმო ნაწილის გამგეობა ჰგზავნის ბორჩალოში გაგებულს პირს ზომის მისაღებად ამ მაზრაში გავრცელებული დიფტერიტის მოსპობისათვის (კავკ).

იმავე გაზეთის სიტყვით, თბილისში აპირებენ საზოგადოების შედგენას, რომელიც უნდა დაეხმაროს ღარიბ მასწავლებელ ქალებს.

დღეს ოთხშაბათს, ნოემბრის 2-ს, ქართული დრამატიული დასისგან არტისტკა მელიქოვის ქალის ბენეფისია დანიშნული ეს აქტრისა წელს ახლად გამოვიდა ჩვენს სცენაზედ და რამდენიმე როლის შესრულების შემდეგ უკვე დაიმსახურა საზოგადოების ყურადღება.

თუმცა მართალია ქ. მელიქოვისა ჯერჯერობით კიდევ ქართულს კარგად ვერა ლაპარაკობს, მაგრამ მეცადინეობა და გაუმჯობესობა აშკარად ეტყობა. იმედია ამ მეხანიურს ნაკლულევანებასაც მალე აიცდენს. ითამაშებენ 3 მოქმედებიანს კომედიას «კრეჩინსკის ქორწილი», რომელიც რუსულს რეპერტუარში ერთს საუკეთესო პიესად ითვლება. ამ გვარი პიესის ამორჩევა გვაფიქრებინებს, რომ ბენეფიციანტკა თეატრს მარტო სახარხარო დროს გასატარებელ ადგილად არ უყურებს და მისი წადილია სასიამოვნო სასარგებლოს შეუერთოს.

## ქართული თეატრი.

(«ცხოვრების თანამოგზაური» კომედია ოთხ მოქმედებად და ხუთ სურათად, გადმოკეთებული რუსულიდამ ალ. მოჩხუბარიძისაგან 30 ოქტომბერს).

კვირა საღამოს, 30-ს ოქტომბერს, ქართულმა დრამატიულმა დასმა წარმოადგინა პირველად კომედია «ცხოვრების თანამოგზაური», რომელიც საზოგადოდ რიგიანი სასცენო პიესაა და კარგს შთაბეჭდილებასაც მოახდენდა მაყურებელზე, თუ კი მოთამაშეები რიგიანად აასრულებდენ თავიანთ მოვალეობას და თავთავიანთ ნიჭიერების შეუფერებელ როლებს ხელს არ მოჰკიდებდენ. სამწუხაროდ ჩვენდა, უნდა ვსთქვათ, რომ ამ გზობით ეს პირობა დაცული არ იყო და მოთამაშეთა უმრავლესობამ როლები ერთობ სუსტად გაატარა.

სანამ თვით წარმოდგენაზე ვილაპარაკებთ, საჭიროდ ვრაცხთ ორიოდე სიტყვით მოვუთხროთ მკითხველებს კომედიის შინაარსი.

გიორგი, ღარიბი ოჯახის შვილი, განათლებული, შრომის მოყვარე და პატიოსანი ყმაწვილი კაცი, ცოლად ირთავს ნინოს, გაკოტრებული თავადიშვილის ქალს, რომელიც მას ძლიერ უყვარს. საქმის გამრიგებლად არის გიორგის ნაცნობი, ერთი მაწანწალა ახალგაზდა კაცი, სვიმონი. გიორგის დედა, მართა, შეჰხარის ერთად-ერთი შვილის ბედნიერებას, მხოლოდ მოხუცებული ბიძა არ ურჩევს გიორგის ცოლის შერთვას. როგორცა ვთქვით, გიორგის ძალიან უყვარდა ნინო და ჰფიქრობდა, რომ ნინო იქნებოდა მისთვის ნამდვილი თანამოგზაური ცხოვრებისა. მაგრამ იმედები სულ ერთიანად გაუცრუვდა. გიორგიმ შრომას და მეცადინეობას მოუმატა, რიგიანად აცხოვრებდა ცოლსა და დედასა და პირველს დროებში თითქო ბედნიერიც იყო. მაგრამ მისი ახალგაზდა ცოლი, შეჩვეული დიდ-კაცურს ცხოვრებას, ვერ ურიგდება იმ პირობებს, რომლებშიაც იგი მოექცა გიორგის შერთვის შემდეგ. ნინოს სურს იაროს თეატრებში და ბალებში და ატაროს დრო თავის შთამომავლობის ღირსების შესაფერად. გიორგის შეძლება კი ამას ვერ აუვიდა და ვერც მისმა დარიგებამ მოიყვანა გონზე ნინო. ამის გამო ცოლი ნიადაგ უსაყვედურებს და ბრალათა სდებს ქმარს თავის უბედურებას. ცოლ-ქმრის უთანხმოებაში ჩაერია ნინოს დედა, ბარბარე, რომელიც კიდევ უფრო აქეზებდა ნინოს ქმრის წინაშე. საქმე იქამდისინ მიიყვანა ბარბარემ, რომ გიორგის კეთილი და პატიოსანი დედა იძულებული შეიქმნა დაეტოვებინა შვილის ოჯახი და სხვა სადგომზე გარდასულიყო. რასაკვირველია, პატიოსანს და სუსტს გიორგის ყოველივე ეს მეტად აწუხებს, მაგრამ რა ჰქნას, როცა ვერა გააწყო-რა ცოლთან და სიდედრთან. საცოდავი გიორგი დაიმორჩილეს ცოლმა და სიდედრმა, რომელთა წყალობით გიორგი ყელამდე ვალებში ჩავარდა. მოვალეებთანაც მოუნდა საქმის დაჭერა. ამ დროს ერთის გასაჭირ მდგომარეობიდგან გიორგი დაიხსნა ბიძამ, რომელმაც ვალის გარდასახადად ასი თუმანი ფული მისცა თავის დისწულს. ამასობაში სვიმონმა არშიყობა დაუწყო ნინოს. გარდამეტებულმა შრომამ სრულიად დააუძლურა გიორგი და ჭლექი შეჰყარა. ნინო ამას ვერა ჰხედავს და თავისას არ იშლის; იგი თავის დედითურთ უსაყვედურებს გიორგის, რომ ის ქრთამებს არ იღებს. ბოლოს გიორგი სრულიად დასნეულდა. მისი ცოლი კი სახლში სტოვებს ავადმყოფს ქმარსა და ბალებში და მასკარადებში დროს ატარებს. თავის სიცოცხლის უკანასკნელს საღამოს გიორგი კიდევ მარტო რჩება სახლში; ცოლმა და სიდედრმა დაიგვიანეს ბალში. ნაშუაღამევს გიორგისთან შემოდის ბიძა და, სხვათა შორის, უამბობს გიორგის ხმას, რომელიც ვრცელდებოდა ნინოსა და სვიმონის შესახებ. გიორგის არა სჯერა, მაგრამ მერე მოიგონებს, თუ როგორ ხშირად მოდიოდა მის სახლში სვიმონი, მეტადრე, მაშინ, როცა თვით გიორგი სახლში არ იყო, თუ როგორ დასდევდა სვიმონი ნინოს თეატრებში და ბალებში. გიორგი გადის მეორე ოთახში ღვინის მოსატანად ბიძისთვის და ოთახიდამ შემოდის სცენაზე სრულიად გაფითრებული; პირიდამ არაყის სუნი ამოსდის; მას უპოვნია მეორე ოთახში სვიმონისაგან ნინოსთან მიწერილი ბარათი, რომელიც ამტკიცებდა გიორგის ბიძის სიტყვებს. მოაწია გიორგის უკანასკნელმა წამმა, აუვარდება ხველა და ცოლი კი არსად არის. როგორც იყო, გათენებისას მოვიდენ ბალიდამ ნინო, ბარბარე და სვიმონი. გიორგი და ნინო მარტოდ რჩებიან სცენაზე და გიორგი უჩვენებს ცოლს სვიმონის წერილს. ნინო პატიებას ითხოვს და ამართლებს თავს იმით, რომ ყველა ქალებსა ჰყავს მოარშიყე და კავალერიო. გიორგიმ იმოდენი სულგრძელობა გამოიჩინა, რომ ყოველივე დანაშაულობა მიუტევა ცოლსა, რომელმაც ესრედ უწყალოდ შეამოკლა მისი დღენი. უკანასკნელს წამს სცენაზე დაესწრებიან: გიორგის ბიძა, დედა და სიდედრი. გიორგი სთხოვს ნინოს და დედას, რომ მის პატარა ვაჟს, ვასიკოს, კარგად მოუარონ და თვითონ კი სამუდამოდ განუტევებს სულს.

ესეც შინაარსი. ეხლა თვით თამაშობაზე ვიტყვით ორიოდ სიტყვას. გიორგის როლს თამაშობდა ბ. მოხევე, რომელსაც, ჩვენის ფიქრით, არ შეჰფერის გიორგის როლი. ბ. მოხევეს ამ გვარი როლებისათვის აკლია გრძნობიერება და მიხვრა-მოხვრა; ის თავის როლს თითქო წიგნში კითხულობდა და სულით და გულით კი მონაწილეობას არ იღებდა თამაშობაში. მის თამაშს, სხვათა შორის, აკლდა გრძნობა. საზოგადოდ უნდა ვსთქვათ, რომ მოხევეს უფრო შეჰშვენის მოხუცებულების და გლეხ-კაცების როლები, თუმცა ამ გზობით, ეტყობოდა, ბ. მოხევეს, რომ სინიდისიანად და ბეჯითად მოჰყრობოდა თავის როლს და მის რიგიანად ასრულებისათვის მეცადინეობას არ აკლებდა.

ბ. ვ. აბაშიძემ, რომელიც თამაშობდა სვიმონსა, ცოცხლად გაატარა თავისი როლი; მაგრამ მის თამაშს გარდამეტებული [illegible] ეტყობოდა; ის მომეტებულად ყვიროდა სცენაზე და ალაგ-ალაგს კიდევაც აჭარბებდა თამაშს.

მ. საფაროვი-აბაშიძისა თამაშობდა ნინოს როლს და ურიგოდ არ გაუტარებია თავის როლი; მაგრამ როლის შეუსწავლებლობა ეტყობოდა. მაინც-და-მაინც კარგად გამოხატა სცენაზე ახალ-გაზდა გრძნობით და გონებით დამახინჯებული ქალი; მხოლოდ ალაგ-ალაგას სიცხოველე აკლდა.

ნ. გაბუნია-ცაგარლისა თამაშობდა კნეინა ბარბარეს როლს (ნინოს დედა); მას უნდა წარმოედგინა «grande dame», ე. ი. დიდი კაცის და ოჯახის ქალი, მეტის-მეტის მდიდრული ცხოვრებით და, ვალებით გრძნობა და გონება დახშული. გაბუნიას თავისი როლი არა ჰქონდა. მას, როგორცა სჩანს, ვერ შეუგნია ბარბარეს როლის ხასიათი. მართალია, ჩვეულებრივად ცოცხლად ითამაშა, საზოგადოებასაც აცინებდა ხან-დის-ხან, მაშინაც-კი, როცა ეს საჭირო არ იყო. გაბუნიას თამაში მხოლოდ სიცილსა ჰგვრიდა და ვერ ახდენდა მაყურებლებზე იმ მძლავრს შთაბეჭდილებას, რომელიც უნდა მოეხდინა გაკერპებულსა და გრძნობა და გონება დახშულს დიდ-კაცის ქალს. გაბუნიამ ვერ აღძრა მაყურებლებში ის გრძნობა, რომელიც უნდა გამოეწვია თავის მოქმედებით. ერთი სიტყვით, გაბუნია-ცაგარლისა ბარბარეს როლს თამაშობდა იმ რიგად, რა რიგადაც ხშირად თამაშობს ვაჭრის ან გლეხ-კაცის დედაკაცს.

ეხლა ორიოდე სიტყვა ბ. თომაშვილზე (გიორგის ბიძა) და მძინაროვისაზე (გიორგის დედა). ორივემ სინიდისიანად აასრულეს თავიანთი როლები. მძინაროვისა ჩვენ რამდენჯერმე ვნახეთ სცენაზე და უნდა ვთქვათ, რომ ეს მოთამაშე რიგიანად ეპყრობა თავის მოვალეობას. მას დიდი მეცადინეობა ეტყობა და იმედია, რომ სცენისათვის სასარგებლო მოთამაშე შეიქმნება. ამ გზობით უნდა შევნიშნოთ მძინაროვისაზე, რომ იგი ერთობ ყმაწვილი სჩანდა მართას როლისათვის და მეტის-მეტად გრძნობიერად ლაპარაკობდა იქ, სადაც როლი ამას არ მოითხოვდა.

ორიოდე სიტყვა პიესის ენაზედაც. პიესას ეტყობა ენის უსწორ-მასწორობა,—მაგალითად, ჩვენ გავიგონეთ: «იმას უნდა გაეცნოს თქვენს ნიჭიერებასთან» და სხვ.

წარმოდგენაზე ხალხი ნაკლებად დაესწრო.

ა. ნა—ლი.

## «დროების» კორესპონდენცია.

სოფ. ვარდის-უბანი (თელავის მაზრა), 13 ოქტომბერს. ვარდის-უბანი მდებარეობს თელავის დასავლეთ

მხარეს, სამი-ოთხი ვერსის მანძილზედ. მცხოვრებლების რიცხვი სამასორმოცდა-ათ კვამლამდეა. სულ გლეხობაა, მხოლოდ ათიოდე კვამლი აზნაური ურევია, და ისინიც სოფლის განაპირას სცხოვრობენ, ზურგ შებრუნებულნი.

ვარდის-უბანი, კახეთის ერთი უწარჩინებულესი სოფელთაგანია: შემკული ბაღ-ვენახებით და საუკეთესო ხეხილით. ეს სოფელი ღმერთს დაუფარავს მპარცველების ჩამოხიზნებისაგან, მაგრამ თელავიდგან მაინც სწვდებიან პრისტავ-პოლოსები და საკმაოთა სწუწნიან მას. სოფელში რომ შეხვალთ, გარეგანი შეხედულობით სასოება გაგეხსნებათ და სიამოვნების ღიმილი გაგირბენთ სახეზედ. ყველას, თითქმის, ქვითკირის სახლები და მარნები აუგია, იშვიათად შეხვდებით ხის შენობას; მაგრამ ეს ახლანდელი გაშენებული არ გეგონოთ. ეს სოფელი მაშინ ყოფილა სულ-მობრუნებული, როდესაც საეკლესიო სოფელს შეადგენდა და ალავერდის ეკლესიას ეკუთნოდა. მაშინ სახნავ-სათესი მიწებიც საკმაოთა ჰქონდათ, ტყეც თავისუფალი, საბალახეც; დღეს კი, როდესაც საეკლესიო მამულები სახელმწიფო ქონებათა გამგეობის ხელში გადავიდა, სახნავ-სათესი ადგილებიც შეამცირეს და აღარც უფლება აქვთ იმ ტყით ისარგებლონ — თუნდ ერთი სახრის მოჭრითაც, — რომელ ტყესაც შეჩვეულნი და თანაშეზდილნი იყვნენ!.. უწინ ამ ტყის საბალახის შემოსვლით სოფელი თანასწორად სარგებლობდა და ისტუმრებდა სოფელზედ გაწერილს სხვა-და-სხვა ხარჯებს; დღეს-კი ამ საბალახით არა თუ ხარჯებს ვერ ისტუმრებენ, თითონვე იხდიან საბალახეს, თუ ტყის მცველებმა მათ საქონელს შიგ მოასწრეს. ამ გვარი ცვლილების დაღი დღეს თვალ-საჩინოდ ატყვია ვარდის-უბნელებს. ყველაზედ საკვირველი ის არის, რომ, თითქმის ოთხასს კვამლს კაცს, ბავშვებისათვის ერთი სასწავლებელი არ მოეძევებათ! ვიკვირს, რომ ბ. მაზრის უფროსი ამ ნაკლულევანებას ყურადღებას არ აქცევს.

ი. ნ—ძე.

---

## წერილები რედაქტორთან.

### I

ბატონო რედაქტორო!

გაზეთი «დროების» 213 ნომერში თქვენ დაბეჭდეთ ბ. ა. ნ—ლის წერილი, რომელშიაც აწერილია 20 ოქტომბერს გამართული წარმოდგენა გამოჩენილის დრამატურგის ა. ნ. ოსტროვსკის პატივის-საცემლად.

იმ წერილში ჩემ შესახებ სწერია შემდეგი:

«სუნდუკიანცი მართებულად არ მოიქცა და საზოგადოებას მადლობა ოსტროვსკის ლოჟიდამ გადაუხადა. ესრეთი შეუსაბამო საქციელი ბ. სუნდუკიანცს ბევრმა უზდელობაში ჩამოართვა, და ჩვენ ვფიქრობთ, რომ სრულიად სამართლიანათაც».

მე უნდა მოგახსენოთ, ბატონო რედაქტორო, რომ ხსენებული წარმოდგენის დასაწყისში ბ. ნ. ი. ნიკოლაძე, რომელიც ოსტროვსკის ლოჟაში ელაპარაკებოდა, ჩამოვიდა პარტერში, პირ-და-პირ ჩემსკენ წამოვიდა და მითხრა, რომ მე თქვენ ბ. ოსტროვსკის წინაშე უნდა წარგადგინოთო და ამისთვის, როდესაც განიშნოთ, იმავე წამს ამოდითო. მე მოვახსენე ბ. ნიკოლაძეს, რომ ბ. ოსტროვსკი უკვე მიცნობს და, მაშასადამე, სრულიად საჭირო არ არის ჩემი ხელახლად წარდგენა-მეთქი. ბ. ნიკოლაძე არ მომეშვა და მითხრა, რომ მართალია ბ. ოსტროვსკი, როგორც თითონაცა სთქვა, უკვე გიცნობსო, მაგრამ რადგანაც მე მას დავპირდი, რომ აქაურ მწერლებს წარმოგიდგენთო, კარგი არ იქნება, რომ თქვენ იქ არ იყოთო. მეტი ღონე არა მქონდა, დავთანხმდი. ჩემი პიესის დაწყობამდის ბ. ნიკოლაძე კიდევ მოვიდა ჩემთან, თავისი თხოვნა განმიმეორა და თანაც დაუმატა, რომ როდესაც თქვენს პიესას მორჩებიან, უსათუოდ მოგელოდებითო. გათავდა თუ არა პიესა, მე მაშინვე ზევით ავედი და მინამ ბ. ნიკოლაძეს კარიდორში ველაპარაკებოდი, ბ. ოსტროვსკი თავის ლოჟიდამ გამობძანდა და, დამინახა თუ არა, მიბძანა: «პუბლიკა თქვენ გეძახით, მოდით მალე, მადლობა გადაუხადეთო». და ამ სიტყვებით შემიყვანა თავის ლოჟაში, საიდანაც პუბლიკას მადლობა გადავუხადე.

უმართებულოდ და უზდელად მოვიქცეულვარ თუ არა, ეს მკითხველისათვის მიმინდვია.

გაბრიელ სუნდუკიანცი.

### II

ბ. რედაქტორო!

უმორჩილესად გთხოვთ თქვენს პატივცემულ «დროებაში» მისცეთ ალაგი ამ ჩემს მოკლე წერილს.

წარსულ ივნისის თვეში ჩვენს სოფელ ვაშლოვანში, რომელიც მდებარეობს თბილისის მახლობლად, თექსმეტ ვერსზედ, მოვიდა ბ. პრისტავი და გამოგვიცხადა მთავრობის ბძანება, რომ სწრაფად თქვენმა გამგეობამ უნდა სკოლა ააშენოსო; სკოლის შენობის პლანიც მისცა ჩვენს მამასახლისს. ვაშლოვნის გამგეობას შეადგენს ოთხი სოფელი: ვაშლოვანი, ერტისი, ლოუბანი და ბორბალო, მაგრამ დალოცვილმა ბ. პრისტავმა ჩვენდა უნებურად და დაუფიქრებლად გვიბძანა, რომ სკოლა უეჭველად ვაშლოვანში უნდა აშენდესო. მამასახლისმა მეორე დღესვე ოთხი სოფლის ხალხი დაიბარა ვაშლოვანში, რადგანაც თვითონ ვაშლოვნელი სომეხი გახლავთ. სოფელ ვაშლოვანში სცხოვრობს ორმოც-და ათი კომლი, იმათში თორმეტი კომლი ქართველია და დანაშთენი ოცდა-თვრამეტი კომლი სომეხი; მამასახლისმა ხალხს უჩვენა პლანი სკოლის შენობისა და აგრეთვე გამოუცხადა, რომ უეჭველად ვაშლოვანში უნდა აშენდესო. ლოუბნის ხალხი, რომელიც ას-კომლზედ მეტია, ერთ-ხმად გაიძახოდა — თუ სკოლას ჩვენთვის გვაკეთებინებენ, ვაშლოვანში რას გამოგვადგებაო, ოთხი ვერსის სიშორეზედ რომელი ყმაწვილი ივლისო. ეს სიტყვები განიმეორეს ერტისელებმა, აგრეთვე ბორბალოელებმა და იძახდენ, რომ სკოლა სასარგებლო მაშინ იქმნება თუ ბორბალოში ავაშენებთო, რადგანაც ყველასთვის ერთნაირ მოკლე მანძილზედ იქმნებაო. მაგრამ ყური არავინ უგდო; მამასახლისმა მაშინათვე მეიჯარადრე მოიყვანა, კონტრაქტი დაუწერა და ას-სამოც თუმან ფულს გაურიგდა. ეხლა ეს სკოლა თითქმის ნახევარი აშენებული არის. დარწმუნებული ვარ, რომ ყველა იმას იტყვის, რატომ მთავრობას არ შეატყობინესო, მაგრამ ვინ არ იცის თიბათვეში ჩვენის გლეხი-კაცისათვის რა ძვირად ღირს ერთი წამიც; ყველა ცდილობს, ვინ ვის აჯობებს, ვინ მალე მიიტანს ჰინახულს თავის კარებზედ; აბა ამისთანა დროში ჩვენი გლეხი კაცი რომელი გაიფუჭებს თავს და მთავრობისკენ ვინ დაიწყებს სიარულს იმისთანა ძვირფას დროში.

ეხლა მუშაობა გათავდა, ჩვენც ცუდათა ვართ, მაგრამ ვერსად მივდივართ, რადგანაც მამასახლისს ყოველ დღე იფნის სახრე ხელში უჭირავს და სკოლის ფულსა ჰკრეფავს. ამისათვის უმორჩილესად ვსთხოვთ ყურადღება მიაქციოს წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ და გასინჯოს ალაგი ვაშლოვნისა, სადაც შენდება სკოლა. მაშინ იმედი მაქვს, ყველა დარწმუნდება, რომ ჩვენი გლეხი კაცის ოფლით მოპოებულ ას სამოც თუმანს აძლევენ იმისთანა ალაგას, სადაც სკოლა ერთის თვის შემდეგ სამიკიტნოხანო გახდება და მწარე არაყი გაიყიდება.

ერტისელი.

### III

ბ. რედაქტორო!

წავიკითხეთ ეს არის ერთი უშვილებელი წერილი ქუთაისიდამ გამოგზავნილი ადრიდგანვე ჩვენგან კარგად ნაცნობის პირისაგან, რომელიც ივ. ჩხრეკიაშვილის სახელს ამოჰფარებია. ამ წერილში, სხვათა შორის, ბევრი უსაფუძვლო სიტყვებია გამოთქმული, როგორც ჩემზე, ისე სხვა პირებზედაც... ზოგიერთ პირებს სხვა-და-სხვა ლანძღვის წერილებზე პასუხის გაუცემლობა დიდ სიბრძნედ მიაჩნიათ, მაგრამ მე ამ აზრისა არასოდეს არა ვყოფილვარ და არც ვიქნები. თუ ხმის გაცემის ნებას გაძლევენ და სიმართლეცა გაქვს, რიგია პასუხი გასცე შენს მოწინააღმდეგეს და მით მკითხველები შეცდომიდამ გამოიყვანო...

ჩვენ ვურჩევთ ხსენებული წერილის ავტორს, ჯერედ შეისწავლოს კარგად ის პარაგრაფები, რომლებითაც სამღვდელოების დეპუტატები ხელმძღვანელობენ [illegible] შეკრებილების დროს, გაიგოს [illegible] ეძლევათ მათ და შემდეგ სწეროს მათს მოქმედებაზე, — სწეროს არა უთავბოლოდ და რაც თვითონ უნდა, არამედ იმაზედ, რაც მომხდარა. პირველად აიღოს საგანი რაზედაც მსჯელობა ჰქონდათ დეპუტატთა, შემდეგ მოიყვანოს მათი გარდაწყვეტილება და ბოლოს რეზოლიუცია ეპისკოპოსისა. აქედამ ყველა ადვილად შეიტყობს დეპუტატების შეცდომილებასაც და მათი განჩინების უვარგისობასაც. ასე როდი იქცევიან, სამწუხაროდ, ზოგიერთები და რაც მოადგებათ ენაზე, იმასა სწერენ... «ყოველ წელიწადს დეპუტატები მოდიან და მიდიან, არაფერს არ აკეთებენო». ამისთანა შეუსაბამო სიტყვებს ისვრიან ეს პირები იმიტომ, რომ სრულებით არ იციან, თუ რა კეთდება სამღვდელოების შეკრებილებაზე. ამისთანა პირებთან ლაპარაკი და პოლემიკა ძლიერ ძნელია და ეხლავე ვუცხადებთ, რომ ჩვენ პასუხს არ გავსცემთ მათ. ჩვენ მზად ვიქმნებით გავსცეს პასუხი მაშინ, როდესაც ფაქტიკურად დაგვიმტკიცებენ, რომ ჩვენ ერთსა და იმავე საგანზე სხვა-და-სხვანაირი მსჯელობა გამოვიჩინეთ; როდესაც დაგვიმტკიცებენ რომ ერთ პირზე უსაფუძვლოდ გავილაშქრეთ და მეორეს ხმა არ გავეცით, ხათრით და მორიდებით სიმართლეს გადვუდეგით და სხვანი... გამოტეხილს ვიტყვით, რომ ჩვენოდენი სასწავლებელზე არავის არ ულაპარაკნია. ჩემი აზრი და შეხედულება ყოველთვის მიწერია და ეს ნაწერები დღესაც ყველას შეუძლიათ წაიკითხოს. აიღეთ, ბატონებო, და ამ ჩემი ნაწერებით გამამტყუნეთ და მაშინ სთქვით, რომ მართალს ამბობთ და მე დამნაშავე ვარ. თუ ამას არ აასრულებთ, არასოდეს ყურადღებას არ მივაქცევ არავითარს თქვენს ლაყბობას, რადგან თქვენ საქმე გაქვთ ამოწყვეტილი და ჩვენ ბევრი საქმე გვაქვს...

იმედი გვაქვს, ბ. რედაქტორო, ამ წერილს ადგილს მისცემთ თქვენს პატივცემულს გაზ. «დროებაში».

მ. დ. დ.

---

## რუსეთი

— ახალს ვაჭრობის წესდებაში, მრავალს ცვლილებათა შორის, ერთი ისეთი განყოფილებაც იქნება, რომელიც აქამდის არა ყოფილა; ეს განყოფილება შეიცავს დებულებას სავაჭრო სიგელის შესახებ. ვაჭრები ხშირად, გაკოტრების წინ, თავის ფირმებს სხვის სახელზე დაამტკიცებენ ხოლმე და ამ გვარად მალავენ თავიანთ ქონებას. ამის გამო სენატის ობერ-პროკურორს სწადიან დაფუძნდეს იმისთანა დაწესებულება, რომელშიაც უოყველს ვაჭრობის პატრონს

შეჰქონდეს ვრცელი ცნობები იმის შესახებ, თუ ვინ არის კაჭროზის პატრონი — კერძო პირი, თუ ამხანაგობა ანუ საზოგადოება, და რა პასუხს აგებს საკაჭრო საქმეებში თვითეული ამხანაგობის წევრი; ამ დაწესებულებაში უნდა წარადგინონ ხოლმე აგრეთვე ვრცელი სია იმ პირთა, რომელთაც მინდობილი ექნებათ ამხანაგობის საქმეთა წარმოება. ეს საბუთები შეადგენენ «კაჭრობის სიგელს». ამ გვარი დებულება საფრანგეთში და გერმანიაშიც არის.

— პეტერბურგში ხმებია გავრცელებული, ვითომც სასახლის მინისტრი გრაფი დაშკოვი სხვა ადგილს მიიღებს, და იმის ადგილზე გრაფი ადლერბერგი დაინიშნება.

უცხოეთი

— ხელმწიფე იმპერატორს მეტად ალერსიანად მიუღია ბულგარიის მინისტრი ბალაბანოვი და მთელი ნახევარ საათი ჰქონია მასთან საუბარი. როგორც ცნობილია, ხელმწიფე დიდს მონაწილეობას იღებს ბულგარიის ბედ-იღბალში და ამისათვის ძლიერ მოწადინებულია თურმე მალე მოხდეს მორიგება მათ შორის სამხედრო საქმის შესახებ, რომლის დასაბოლოებლადაც ამ დღეებში მისი დიდებულების ადიუტანტი მიდის სოფიაში.

— საფრანგეთსა და ჩინეთს შორის განხეთქილება ძლიერ აღელვებს ევროპის სახელმწიფოთა. კლემანსო ურჩევს დეპუტატთა პალატას ცალკე კომისია დაანიშნოთ და იმას მივანდოთ საფრანგეთის და ჩინეთის საქმეების განხილვა და ამ გვარად პალატას ავაცილოთ ამ საგანზე სჯა და ლაპარაკიო, ესლანდელს კაბინეტს გაუადვილოთ ეს ძნელი საქმე და ტონკინში გაგზავნილი ჯარების ცუდი მდგომარეობა და სისუსტე დავფაროთო. საფრანგეთის პოლიტიკოსები იმასაც შიშობენ თურმე, რომ, თუ ვინიცობაა ჩინეთთან ომი მოგვიხდა, შეიძლება გერმანია თავს დაგვესხას და სულ ერთიანად გაგვანადგუროსო. ამ ფიქრის გამო პალატის რადიკალური პარტია მალიან თავ დაჭერით და ფრთხილად მოქმედობს. კლემანსო ამბობს თურმე, რომ შამპანიეს და ფრანშ-კონტეს დავკარგავს ისევ ისა სჯობიან, ჩინეთს დაუთმოთ და როგორც იყოს იმასთან მოვრიგდეთო. ერთის სიტყვით, ჩინეთის საქმეებს, როგორც ეტყობა, ფრანცუზები იქამდინ შეუძრწუნებია, რომ სამხედრო სამინისტროში ჰფიქრობენ თურმე შუამავლობა გამართონ ჩინეთთან და ამისათვის ან ინგლისს ან რუსეთს მიმართონ.

— მარკიზ ძენგს ერთი ინგლისის მწერლისთვის უთქვამს, რომ თუ საფრანგეთი ტონკინის ექსპედიციისთვის კრედიტს მოითხოვს, ჩინეთი მაშინვე ტონკინს დაიპყრობსო.

— გაზეთების სიტყვით, ოსმალეთის მინისტრების რჩევას დაუმტკიცებია სომხეთის რეფორმების პროექტი და ამ ცოტას-ხანში დიდს სახელმწიფოებსაც აცნობებს ამ პროექტს.

# განცხადებანი

—

ივანე ბალდანის-ძე პასიკოვი ამით აცხადებს, რომ მან ქუთაისში წმინდა სამთლის ქარხანა გახსნა ქუთაისის ღუბერნის ეკლესიის საჭიროებისათვის. სამთელი კეთდება წმინდა ფაფლის სამთლისაგან. ქარხნის მმართველად გამოწვენილი ოსტატი მაქსიმე მიაჩკასოვია; სამთელი ისყიდება ძლიერ ზომიერ ფასად, მაგრამ ერთბაშად არა ნაკლები ოცის გირვანქისა; ქუთაისის გარეშე მცხოვრების მოთხოვნილებას ქარხანა დაუყოვნებლივ შეასრულებს. ქარხანა გახსნილია პარიკოვის საკუთარს სახლში და სკოლადი სობორს პირ-და-პირ ანდრონიკოვის სახლში. (3—3)

**თბილისის ქალაქის გამგეობამ** დანიშნა ვაჭრობა თვისის თანადასწრებით 4-ს ნოემბრისათვის ამა წლისა. ეს ვაჭრობა შეეხება იჯარით გაცემას იმ მიწის სამუშაოსას დიდუბის კუნძულზედ, რომელიც საჭიროა წყლის გასაყვანი ცილტრებისათვის. გამგეობა იწვევს იმათ, ვისაცა სურს ამ სამუშაოს აღება, გამოცხადდენ ვაჭრობაზედ შუადღის 12 საათზედ. პირობების ნახვა შეიძლება გამგეობაში (უპრავაში) ყოველ დღე დილის 10 საათიდამ 2 საათამდე შუადღის უკან. (3—2)

გამსესხებელი კასსა
გრიგოლ ბარამოვისა და კომპ.

ამით აცხადებს, რომ ამა კასსის წინ ქუთაისში, 15 და 25 ნოემბერს, გაისყიდება ქალაქის აუკციონისტების ხელით, ის გირაოები, რომელნიც არ გამოუხსნიათ ორის თვის შელავათის მიცემის (ლგოტის) შემდეგ, ოქროსი, ვერცხლისა და სხვა-და-სხვა ნივთები. (10—7)

სასტუმრო (გოსტინიცა)
„იტალია“

ნიკოლაევის ქუჩაზე, ვორონცოვის ძეგლის (პამიატნიკის) მახლობლად ჩემს საკუთარს სახლში.

ნომრები მშვენივრად მორთულია ელექტრიულის დასარეკის ზარით და მარდი მოსამსახურეებით. სასტუმროსა აქვს ბუფეტი. ფასი ნომრებისა, საჭმელებისა კარტით და სასმელებისა ნაკლებია.

სასტუმროს პატრონი ბ. სარქისოვი. (30—23)

ქალის პალტოები, კაცის ქუდები და სხვ. იყიდება იაფ ფასად ინგლისის მაღაზიაში, რომელიც არწრუნის გალერეიაში იმყოფება. (10—7)

# ინგლისის მაღაზია

Maison de confiance

| შეადარეთ ჩვენი ჩაი | მოსკოვის ჩაის |
|---|---|
| 1 მ. 10 კ. | 1 მ. 40 კ. |
| — — 1—20 | — — 1—60 |
| — — 1—40 | — — 1—80 |
| — — 1—60 | — — 2— ,, |
| – — 1—80 | — — 2—50 |
| საუკეთესო 2— ,, | — — 3— ,, |

იქვე ისყიდება სხვა საქონელიც: თოფები, რევოლვერები, კრავოტები, ჭურჭელი, ჩაიდნები, გასადებები, დანები, კოვზები, ტაშტები, კალმები, ქაღალდი, შოკოლადი, კაკაო, კანფეტები, მურაბები, მაგნეზია, უნაგირები, კლეონკა, წინდები—კაცის და ქალის, ხელ-სახოცები, მაკინტოშის კალენკორი — სულ უველაფერი 25-დამ 50 პროცენტით უფრო იაფად, ვიდრე სხვა რომელსამე მაღაზიაში.

ვინც ქალაქს გარედამ 25 მანეთიდამ 1,000 მანეთამდინ საქონელს გამოიწერს, გასაგზავნს არაფერს არ ისდის. (100—61)

ინგლისური რკინის კრავოტები



ერთის საწოლი 7 მანეთიდგან და ორის საწოლი 14 მანეთიდგან, მათი ლეიბები, ზღვის ბალახით გატენილი 5-დგან 8 მანეთამდინ. კიდევ შემდეგი ნივთები იყიდება 25%-თ უფრო იაფად, ვიდრე სხვაგან სადმე: ბრიტანიის მეტალის ნივთები, ჩაიდნები, საკარაქე, სამარილე, ჩაისა და სტოლის კოვზები ჩანგლებითა, ფაიფური, დასადგმელი, პირისაბანი, სტაქნები, სუფოვნიკი, საწურავები, რიუმკები, გრაფინკები, საქაშეები, თეფშები, ბლუდები, სასალათეები, ტაშტები, სარძევეები, სამარილეები, გარჩიცის საფხეკები, უნაგირები კაცისა და ქალისა, აღვირები, ხლისტები, ტანისამოსის დასაკიდებლები, საბალო მაკრატლები, კაქსები, უთოები, წისქვილები, ხურსები, ქლიბები, კლიტეები, ინგლისის თოფები და რევოლვერები, პიკები, ზარიადები, კაპსიულები, ხაფანგები, ნაჩზები, ვატერპრუფები, საზნები, ჩულქები, წინდები, სუფრები, სალფეტკებისათვის რგოლები, ემალიანი ჭურჭელი, მურაბები, კამფეტები, პიკულები, სოუსები, ზღვის ბალახი, დიმიკიტონები და სხ. ინგლისურს მაღაზიებში №№ 156, 157, 158, 159 და 160. ამ ნომრებს ყურადღება მიაქციეთ. (100—15)

ინგლისის მაღაზიაში

**თმის-ამომყვანი**

ამაგრებს თმას და ადრინდელ ფერს აძლევს, ფასი ერთი შუშისა 2 მან., გაგზავნით 2 მანეთი და 28 კაპ. (100—60)



**მაკ-მასტერი**

აქვე ისყიდება ქინის პომადა თმების გასამაგრებლად. ფასი 1 მან. სნოტკები თავის ტკივილის მოსასპობლად, ტუალეტის საპონი, დუხები და სხვ.

მაზანდა

ხორაგისა, რომელიც იყიდება თბილისის ბაზრებში, დუქნებში და ხელდა-ხელ 1 ნოემბრიდამ 1 დეკემბრამდე 1883 წ.

| | | |
|---|---|---|
| გამომცხვარი პური რუსთის ფქვილისა — | —1 გირ. | 5 კ. |
| აჭაურის ფქვილისა: პირველის ხარისხისა — | —1 გ. | 3 კ. |
| მეორისა — — | —1 გ. | 2 1/2 |
| იმავე ფქვილ. თორნეში გამომცხვარი: | | |
| პირველის ხარისხის | —1 გ. | 5 კ. |
| მეორისა — | —1 გ. | 3 კ. |
| მესამისა — | —1 გ. | 2 1/2 |
| ჯვარის-მამის პური: | | |
| პირველის ხარის. ლავაში | 1 გ. | 5 კ. |
| მეორის ხარის. ლავაში | 1 გ. | 3 1/2 |
| მესამისა — | —1 გ. | 3 კ. |
| ძროხის ხორცი: | | |
| პირველის ხარისხის | —1 გ. | 8 კ. |
| მეორის — | —1 გ. | 7 კ. |
| სუკი . . . | —1 გ. | 15 კ. |
| ცხვრის ხორცი | —1 გ. | 7 კ. |
| ღორის ღორცი: | | |
| პირველის ხარისხის | —1 გ. | 10 კ. |
| მეორის — | —1 გ. | 9 კ. |

რკინის გზა

თბილისიდამ ქუთაისისკენ მიდის
8 საათზედ და 31 წამ. დილით.
თბილისიდამ ხაშურამდინ
3 საათ. და 11 წამ. შუადღის უკან.
თბილისიდამ ბაქოსკენ
11 საათზედ და 11 წამ. ღამისა.
ბაქოდგან თბილისისკენ
10 საათზედ და 23 წამ. დილისა.
ქუთაისიდგან თბილისისკენ
12 საათზ. და 25 წამ. შუადღ. უკან.
ქუთაისიდგან ბათუმისა და ფოთისკენ
5 საათზედ და 20 წამ. შუადღის უკან.
ბათუმიდგან თბილისისკენ
8 საათ. დილისა.
ფოთიდგან თბილისისკენ
8 საათ. და 45 წამ. დილისა.
ფოთიდამ და ბათუმიდამ მომავალი თბილისში შემოდის
10 საათზედ და 25 წამ. ღამისა.
ბაქოდამ მომავალი შემოდის თბილისში
7 საათ. და 49 წამ. დილისა.

Дозв. ценз. Тифлисъ, 1 Ноября 1883 г. ექ. ხელაძის სტამბა. (Типографія Е. Хеладзе.) გამომცემელი ბ. ქართველიშვილი. რედაქტორი ი. მაჩაბელი.